№ 214 ოქტომბერი 13, ხუთშაბათი 1888 ოქტომბერი 13 ხუთშაბათი № 214

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ქართული თეატრი

პარასკევს, 14 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

## კეკო

კომ. 3 მოქმედ., გ. სუნდუკიანცისა.

II

## დატრიალდა ჯარა

ვოდ. 1 მოქმედებად.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გამყრელიძე, აწყურელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

---

ტფილისი, 12 ოქტომბერი

საფრანგეთი დღეს დიდს ჭაპანწყვეტასა და გაჭირებაშია. მას აქედ, რაც ეს მესამე რესპუბლიკა დაარსებულია, არა გვგონია, ამისთანა განსაცდელიანი დღე სხვა დასდგომოდეს საფრანგეთსა, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ პარიჟის არეულობას რესპუბლიკის პირველ ხანებში. აწ არსებული და მომქმედი კონსტიტუცია დაწუნებულია ეხლანდელ სამინისტროსაგან მაშინ, როდესაც ჯერ კარგად გამორკვეული არ არის ამის შესახებ თვით ერის აზრი. მართალია, კარგა ხანია ზოგიერთი დასები ჰთხოულობდნენ კონსტიტუციის ხელ-ახლად გადასინჯვას, რადგანაც ბევრ ნაირად წუნსა სდებდნენ, მაგრამ წარმომადგენლობამ ერისამ ამაზედ უარი სთქვა. ამ ბოლოს ხანებში ამ „გადასინჯვის“ საქმემ ხელ-ახლად იჩინა თავი ბულანჟეს სახელითა და ვიდრე ბულანჟემ სამს დეპარტამენტში არ გაიმარჯვა არჩევანებში, ყური არ ათხოვეს ამ საქმესა, თუმცა «გადასინჯვა» კონსტიტუციისა სხვა მხრიდამ უნდა წამომდგარიყო ფეხზედ, სახელდობრ, იქიდამ, რომ დღეს საფრანგეთს განაგებს სამინისტრო რადიკალთა დასისა და ამ სამინისტროს უფრო ეკუთვნოდა „გადასინჯვის“ საქმის წამოყენება, ვიდრე სხვას ვისმე.

„გადასინჯვა“ კონსტიტუციისა, ესე იგი, შეცვლა, ან სხვა ახალის მუხლების შეტანა ბუნებითად საშიში არ არის და ამისთანა საქმეს ინგლისი სრულიადაც არ უფრთხის ხოლმე. ჩვენს დროში ინგლისმა არა ერთხელ შეიტანა თავის კონსტიტუციაში ძირეული ცვლილება და ყველა ამან ინგლისის ერს მშვიდობიანად ჩაუარა. საფრანგეთი-კი ამ მხრით სულ სხვა ქვეყანაა. მისი უბედურობა მეტად დიდი მრავალ-დასიანობა არის და ამ მრავალ დასიანობაში ამისთანა მძიმე საქმის გადატარება მშვიდობიანის გზით მეტის-მეტად ძნელია და საეჭვო. შიში არეულობისა, შიში იმისი, რომ შესაძლოა თვითონ რესპუბლიკის არსებობა განსაცდელში ჩავარდეს, რაკი ერთხელ შემთხვევა მიეცემათ კონსტიტუციის შეცვლაზედ სიტყვა დასძრან, — ეს ორ გვარი შიში მოსვენებას არ აძლევს იმათაც, ვინც სხვა დროსა და სხვა გარემოებაში ამ გადასინჯვისა და შეცვლის გულითადი მომხრენი იქნებოდნენ და ამავე დროს იმათ-კი აქეზებს, ვისაც აშლა და არეულობა ქვეყნისა სათავისთავოდ სარგებლობას რასმე უქადის. დღეს საფრანგეთში მომხრენიცა და უარმყოფელნიც ამ ორ გვარის შიშის თვალით უყურებენ მთავარ-მინისტრის ფლოკეს პროექტს „გადასინჯვისას“. მომხრენი იძახიან, რომ სწორედ მაგ შიშის აღსახოცად და სამუდამოდ თავიდამ ასაცილებლად საჭიროა გადასინჯვაო და უარმყოფელნი კიდევ ამტკიცებენ, რომ ეგ «გადასინჯვა» მაგ შიშს უფრო აძლიერებს, რადგანაც მტრებს რესპუბლიკისას საბუთსა და შემთხვევას აძლევს თვით რესპუბლიკის არსებობაზედ სიტყვა ჩამოაგდონ, ძირი გამოუთხარონ და ეს ამბავი მშვიდობიანად არ ჩაუვლის საფრანგეთსა, უსისხლოდ ერთი მხარე მეორეს არ დაუთმობს აქ არაფერსაო.

ამ სახით ორივე მხარენი აღიარებენ შიშსა, დღევანდელ დღის ავ-კარგიანობისაგან წარმომდგარსა, ხოლო განსხვავება ის არის, რომ ერთისა და იმავე წამლისაგან ერთნი მოელიან განკურნებასა შიშისაგან და მეორენი-კი — შიშის უფრო გაძლიერებასა და განდიდებასა. ეს ითქმის მხოლოდ იმათზედ, ვინც გულწრფელად ეძლევა კონსტიტუციის „გადასინჯვის“ საქმეს და სახეში აქვს მარტო საფრანგეთის ბედნიერება და სიკეთე. ხოლო საფრანგეთის საუბედუროდ ბევრნი იმისთანა ცალკე კაცნი, თუ დასნი არიან, რომელთაც საფრანგეთის განსაცდელში ჩაგდება არაფრად მიაჩნიათ, ოღონდ თვითონ-კი სარგებლობას რასმე გამორჩნენ. ესენი თავისის ჭკუთი, ან არათი ეტანებიან ამ საქმეს იმისდა მიხედვით თუ, — შიშის აღმოხოცვა, ან გაძლიერება რა ხელს მისცემს მათს საკუთარს სარგებლობას და საფრანგეთის სიკეთე-კი უკან დაყენებული აქვთ, ანუ სრულად დავიწყებული.

კონსტიტუციის ხელ-ახლად „გადასინჯვა“ საფრანგეთში დროთა მოთხოვნილებაა, მით უფრო, რომ აწ არსებული კონსტიტუცია კონსერვატორთაგან არის შედგენილი ამ შვიდმეტ-თვრამეტის წლის წინად და ბევრში აბრკოლებს ეხლანდელს რესპუბლიკას. რადიკალთა დასს ყოველთვის ჰქონდა პროგრამმაში აზრი და სურვილი „გადასინჯვისა“. ამიტომაც მოსალოდნელი იყო, რომ ამ საქმის ატეხის დროს მთელი ლიბერალობა საფრანგეთისა „გადასინჯვას“ მიუდგებოდა და მთელი კონსერვატორობა უარზედ დასდგებოდა. ხოლო დღეს საფრანგეთი იმისთანა გარემოებაშია, რომ ამ საქმემ ერთმანეთში დაჰქრია ამ ორ გვარის მიმართულების კაცნი. ეხლა ამ „გადასინჯვის“ საქმეში ბევრს ლიბერალსა და რადიკალს წინააღმდეგთა რაზმში ვხედავთ და ბევრს კონსერვატორს და რეაქციონერს — მომხრეთა შორის. კარგია თუ ამ გასვლა-გამოსვლაში ადგილი რამე აქვს საფრანგეთის სიყვარულს. უეჭველი კია, რომ გულ-წრფელი და პატიოსანი კაცი ორსავე რაზმში მოიპოვება, ხოლო საქმე ის არის სად რამდენია ამისთანა კაცი. თუ მეტობა დაიკუთვნეს იმათ, ვისაც მღვრიე წყალში თევზის ჭერას თავის საკუთარ სარგებლობისათვის გამოელიან, მაშინ არავინ იცის აწ დაწყებული საქმე „გადასინჯვისა“ რა ბოლოს და დასასრულს იქონიებს, იმიტომ-რომ ეს საქმე მეტად მიზეზიანია, ნამეტნავად დღევანდელს დღეს. ეს ამძიმებს და აწუხებს ჭეშმარიტს მამულიშვილებს საფრანგეთისას, ესე იგი, იმათაც, ვისაც წრფელის გულითა ჰსურთ გადასინჯვა კონსტიტუციისა და იმათაც, ვინც წრფელის გულითვე ამ «გადასინჯვას» უფრთხიან.

---

## ახალი ამბავი

*** დეპეშით გვაუწყეს, რომ 12-ს ამ თვისას სურამის გვირაბი ერთის მხრიდამ მეორემდე გაითხარა. მთხრელნი აქედამ და იქიდამ ერთმანეთს შეეყარნენ და ამ სახით წინადვე აღნიშნულს დროზე ვვირაბის თხრა უკვე დასრულდაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკავში ახლად დაარსებულის სკოლის მასწავლებლად „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას დაუნიშნავს ბ-ნი ბედელაძე, საოსტატო ინსტიტუტში ახლად კურს-შესრულებული.

*** ჩვენ გვატყობინებენ ზემო და ქვემო თელეთიდგან, რომ ჩვენში ამ ბოლოს დროს ჩხუბი, კაცის დაჩე-

---

# ფელეტონი

## ნათლი-ღება ღამეს

**მოთხრობა**

V*)

მთელს ზაფხულს ჯოვანი ძვირფასი სტუმარი იყო დალაქიანთ ოჯახისა, შაქრომ თავისის ხელით გაუკეთა აივანზე ხის ტახტი, რომელზედაც შუადღემდე ეძინა ხოლმე ღამე ნაბახუსევ ტრახტირის მუზიკანტს. ყველა ოჯახის წევრი კმაყოფილი იყო თავისის მდგომარეობისა და მყუდროდ ემზადებოდნენ მომავალისთვის. ადელი მზითევს იკერავდა, შაქრო უფრო ბეჯითად მუშაობდა თავისს სახელოსნოში, ქეთევანას თავისი გულითადი სურვილი — ზემო სართულის აშენება აღსრულებაში მოჰყავდა: კარი, ფანჯარა, ჩარჩო, იატაკის ფიცარი ნელ-ნელა მზადდებოდა და შენობისათვის საჭირო აგური დაზვევებული იყო.

ჯოვანი დატკბა, დადარბაისლდა, თავისს მხეცურს ზნეს თითქო სამუდამოდ ზურგი შეაქცია, საღამოებით სანამ ტრახტირში წასვლის დრო მოუვიდოდა, ის ასწავლიდა თავისს ქალს მუსიკას, თავისის ქვეყნის ეროვნულ მელოდიების დაკვრასა და სიმღერას. ადელი ძლიერ ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა და ჯერ სამს თთვესაც არ გაევლო, რაც ჯოვანი დაბრუნდა და ეს ჩინებულად უკრავდა არფაზე და მშვენივრად გალობდა იტალიის საეროვნო იამბიკოს «სანტა ლუჩიას». ქართული ხმებიც-კი შეუწყო არფის სიმებს. ამ უკანასკნელს გარემოებას აღტაცებაში მოჰყავდა ბებერი ქეთევანა: „ქართული ხმები არფაზე! მადლობა შენთვის, ღმერთო, რას არ მოიმოქმედებს ადამიანის გონება!“

VI

დადგა ტკბილი, გემრიელი და უხვი შემოდგომა. ქეთევანის ზემოთა სართული სრულიად მზად იყო. ჯვარის საწერი ფულები ზანდუკის კუთხეში ეწყო. შაქროს ნაყიდი კოპწია კაკლის კამოდის უჯრები ადელის ხელით ნაკერის მზითევით იყო ჩალაგებული. შაქროსა და ადელის თვალები, პატრონების უნებლიეთ, შესცქეროდნენ ერთმანეთს, ველარა სძღებოდნენ ერთმანეთის მზერითა და ალერსით. ერთის სიტყვით, საქმე მომწიფებული იყო, ქორწინების დღე დანიშნული. ჯოვანიმ მოწიწებითა და მწუხარების ზარით სახეზედ სთხოვა შაქროს:

— შვილო, შაქრო, ნება მიეც შენს საცოლეს დედის საფლავი ნახოს თავის გაბედნიერების წინა დღეს: იმ უბედურმა ამისი ტკბილი ცრემლი იქნება იგრძნოს თავისს გაქვავებულს გულზედ და იქიდგან ლოცვა-კურთხევა გამოუგზავნოს. დილაზე მე ვუჩვენებ იმ საცოდავის საფლავს, ის იქვე ვერის სასაფლაოს კარებთან არის მიწასთან გასწორებული. ქორწილს შემდეგ ნუ დაზოგავ, შვილო, ერთს უბრალო ხის ჯვარს, ნიშნად მაინც ჩაუსვი იმისს საფლავს, რაც უნდა იყოს მაინც შენის მომავალ მეუღლის მშობელია და დავიწყება არა გშვენის.

ისეთის გრძნობითა და მწუხარებით სავსე იყო ჯოვანის ხმა, ისე წრფელი და სადა იყო იმისი სურვილი, რომ შაქროზე გამოცდილი კაციც ვერ მიუხვდებოდა იმას, თუ რა საზიზღარი განზრახვა ჰქონდა.

მეორე დღეს დილით ადრე ჯოვანს ამაყად ხელი-ხელს გაყრილი ჩამოჰყავდა დალაქიანთ ეზოდგან თავისი კოპწია ქალი. თალხი შავი კაბა, თავზედ შავის აბრეშუმით ნაქსოვი შალი უფრო აჩრდილებდა ადელის დალონებულს სახეს. ამას ორ გვარი აზრი აწუხებდა: ერთი ის, რომ დედის, დიდის ხნის დავიწყებულის, უსამართლოდ დავიწყებულის მშობლის საფლავი უნდა ენახა და მერე კიდევ ინსტინქტიური, რაღაც საიდუმლო და ჯერ კაცის გონებისაგან აუხსნელი გულის გრძნობა საშინელის მომავლისა გულს უწუხებდა და ამის ნაბიჯს გამბედაობას აძლევდა. მამა ტკბილად შესცინოდა და აქეზებდა წინ წასასვლელად:

— შენ, ადელი, ისე დასდიხარ, თითქო პირველად იდგამდე ფეხსა. და განა ეს ასეც არ არის, ჩემო მარგალიტო? აი, თექვსმეტი წლის ქალი ხარ და ჯერ, მე მგონი, ათჯერ არ ჩამოსულხარ ამ ქოხიდგან ქალაქში. შენ ისე შესჩვევიხარ ამ ვიწრო, გლახაკურს ცხოვრებას, რომ ვერც-კი წარმოიდგენ, თუ ქვეყანა რა ფართოა, რა მშვენიერია, რამდენის სიმდიდრითა და ბედნიერებით არის სავსე. ოჰ! შენ რომ იტალია ნახო, ის იტალია, სადაც შენი მამა-პაპა დაბადებულა და რომლის სიმშვენიერესა და სიტურფეს შენატრის მთელი ქვეყანა, ის იტალია, სადაც დედაკაცი სრული თავისუფალია და ნება აქვს გაიხაროს, საზოგადოდ თავი მოიწონოს და იბრწყინოს თავისის სიკეკლუცით!.. შენ აქ აზიაში შეუმწყვდევიხართ ერთს სოროში და მხოლოდ ერთს უსუსურს, ბრიყვს ბალანასა აქვს უფლება შენის სინაზით დასტკბეს. აჰა, შვილო, შენის ხმით, შენის თვალებით შენ შეგიძლიან უფრო დიდი, უფრო ბრწყინვალე ადგილი დაიჭირო საზოგადოებაში. დილით საღამომდე ბულბულივით ჰგალობ და შენ მსმენელებად არიან მხოლოდ მთაწმინდის კლდეები, გამოყრუებული ქეთევანა და იმისი ხეპრე შვილი შაქრო, მაშინ-როდესაც შენს ხმას უნდა ისმენდეს ათასი და ორი ათასი განათლებული, მდიდარი და წარჩინებული კაცი და ალტაცებით ტაშს გიკრავდნენ, შემოგტრფოდნენ და თვალმარგალიტით გამკობდნენ. ოჰ, დედაშენს რომ შენი ხმა ჰქონოდა, ეხლა მილიონის პატრონი ვიქნებოდი, ჩემი პატარა ადელი ეხლა ბრწყინვალე ქალბატონად იჯდებოდა რომელსამე პალაცოში თავისს სამშობლოს. ეხლა-კი დალაქიანთ ქოხი და დალაქიანთ გლახა ოჯახია შენის ნიჭის ასპარეზი... საშინელებაა. მოდი, შვილო, გავკრათ, წავიდეთ, წავიდეთ იმ ტურფა ქვეყანაში, სადაც ლიმონის ტყეები ხარობს და სადაც ზამთარზაფხულს ბულბული გალობს.

— არა, მამა, შენ ხუმრობ, მაგას ნამდვილის გულით არ მირჩევ! ჩემი იტალია დღეს ეს საცოდავი მთაწმინდის კუნჭულია, სადაც მე, უბედურს, მიტოვებულს ბავშვს, კარი გამიღეს, სა-

*) იხ. „ივერია“ №№ 211 და 213.

ხვა და დაკვლა გახშირდა და არ ვიცით რას მივაწეროთ ასეთი მოვლენა ცხოვრებისათ. მაგალითებრ, შავნაბადობა დღეს სალოცავად მოსულს ქალაქელებსა და ქურდის თელეთის მცხოვრებლებს შუოთი ჩამოუვარდათ რაღაც უბრალო საქმისათვის, დაერივნენ ერთმანეთს კეტებით და სულ თავ-პირი დაამტვრიეს. ამ რამდენისამე დღის წინად კიდევ ერთს ზემო-თელეთელს ცხვარი შეერეკნა მეზობლის ყანაში, მოასწრო პატრონმა, სიტყვის უთქმელად მიუშვირა თოფი და იქავე სული განთხევინა.

*** **ზემო-აგჭალიდგან**: 29 ენკენისთვეს ბ-ნ კ. მირზოევის სახლს შუაღამისას გაუჩნდა ცეცხლი და ზემო სართული სულ გადაწვა. ვისგან და როგორ გაჩნდა ცეცხლი, არა სჩანს. გამოძიება სწარმოებს.

*** 4-ს ოქტომბერს სოფ. **გიორგი წმინდას** (ტფილ. მაზრა), გ. მანასოვის ვენახს ახლოს, უპოვნიათ გვამი მოკლულის კაცისა, კაკაბეთის მცხოვრების დიმ. თამაზაშვილისა. მკვლელის აღმოსაჩენად ფიცხელი ზომებია მიღებული.

*** სოფ. **ჩხვინტიდგან** (ტფილ. მაზრა) გვწერენ: 2-ს ოქტომბერს ვიღაც ბოროტ-მოქმედმა წაუკიდა ცეცხლი ლ. ქიფარიშვილის საბძელსა. ხალხი თუმცა სცდილობდა გაექრო გაძლიერებული ცეცხლი, მაგრამ ვერა გააწყო-რა. გლეხს მოუვიდა 280 მან. ზარალი.

*** 8 ღვინობისთვის პატარა-დმანისის (ტფილ. მაზრა) ახლო იპოვნეს ტყვიით დახვრეტილი გვამი წინწყაროს გლეხის პავლე იორდანოვისა. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. **ბაკურციხიდგან** გვწერენ: თავად არ იყო ძმარიო და ზედ დაასხეს წყალიო, სწორედ ჩვენის სოფლის ბეჩავ შეგირდების ყოფაზე არის ნათქვამი. არა ეშველა-რა, ვერ ააშენეს სკოლის შენობა და რის გაჭირვებით დღევანდლამდე გლეხის შვილები, რიცხვით ოც-და-თხუთმეტამდე, თავიანთ მღვდლის ერთს პატარა ოთახში სწავლობდნენ. მართალია, შეგირდები შევიწროებულნი და გაჭირვებულნი იყვნენ, მაგრამ იმ ზომამდე ჰქონდათ აღძრული სწავლის სურვილი, რომ გაჭირვებაშიაც თავიანთი თავი ბედნიერად მიაჩნდათ. სასკოლო სკამების უქონლობის გამო იატაკზედ ისხდნენ მოკეცილნი, სტოლების მაგივრად კალთაზედ ეწყოთ საკითხავი წიგნები და დაფები, გასაკვეთებს ჯერ-ჯერობით სწავლობდნენ, რადგანაც სათითაოდ არა ჰქონდათ სახელმძღვანელო წიგნები. დღეს ეს მცირედი ბედნიერებაც შეშურდა მათთვის ბედსა, დაეხშოთ ამ სასწავლებლის ოთახის კარიც და დარჩნენ უნუგეშოდ, რადგანაც ეს ოთახი მღვდელმა, როგორც თავისი საკუთრება, ახლად გამწესებულს დიაკვანს დაუთმო.

*** **თელავიდგან** გვწერენ: წარსულს კვირას თელავში ერთი მეშუშე, დედის-ერთა შვილი, ბატკანიევით დაჰკლეს და გაცარცვეს ღამის რაინდებმა. აი საქმე როგორი იყო: მეშუშეს წინანდელის ნამუშავრისა ერთად ჰქონია ოცი თუმანი ფული. ეს შეეტყოთ ავაზაკებს და სწორედ მაშინ, როცა იგი მოხუცის დედითურთ ვახშამს შეექცეოდა, გამოეძახნათ გარეთ, ვითომდა ნაცნობები გეძახიანო. მეშუშეც გაჰყოლოდა. ჩასულან თუ არა მეშუშის სახლს ქვემოდ, ვენახების ბოლოს, ავაზაკებს წაუქცევიათ საბრალო კაცი, გამოუჭრიათ ყელი, წაურთმევიათ ფული და გაქცეულან.

*** **იქიდამვე**: ამავე ხანში ბ. ი. ზარაფიშვილის სახლს წინ ერთმა კურდღელაურის მცხოვრებელმა დანით დასჭრა ორი კაცი. სამივენი ერთად ყოფილან სადილად მოყვრისას. სადილს შემდეგ შინ მიმავალთ გზაზე კინკლაობა მოსვლიათ და კინკლაობას ეს უბედურება მოჰყოლია. ერთი დაჭრილი უკვე გარდაიცვალა. დამნაშავე იმავე საღამოს შეიპყრეს.

*** გაზ. „კავკაზი“ იუწყება, რომ **მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ** უმაღლესად ინება და შესწირა ათასი მანეთი წყლებზე მაშველის საზოგადოების ტფილისელს გამგეობას. ეს ფული ბ-ნმა გზათა მინისტრმა უკვე გადასცა ბ-ნს სიმონსონს, თავ-მჯდომარეს გამგეობისასა.

*** როგორც გაზეთი „Гражданинъ“-ი იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიწერ-მოწერა გაუმართავს ფინანსთა სამინისტროსთან ქუჩაზე შეშლილთათვის თავ-შესაფარის გამართვის გამო ტფილისში.

---

## პასუხად

კნ. ნ. თარხნიშვილს.

«ივერიის» № 183 მე გამოვაცხადე, რომ 1881 წ. აქ გაიმართა წარმოდგენა ახალქალაქის სკოლის სასარგებლოდ კნ. ნ. ლ. თარხნიშვილის თაოსნობითა-მეთქი. ამ წარმოდგენიდგან ხარჯს გარდა დარჩა 52 მანათი. ეს ფული კ. გაბაშვილს ებარა; ამას ეს ფული პირდაპირ ჩემთვის უნდა გადმოეცა, მაგრამ კნ. ნ. თარხნიშვილს გამოურთმია ჩემთვის გადმოსაცემად და დღევანდლამდის არ გადმოუცია-მეთქი. ამ ჩემის შენიშვნის პასუხად „ივერიის“ № 188-ში კნ. ნ. ლ. თარხნიშვილი ბრძანებს:

„1881 წელს მე გახლდით განჯაში და ამ სიშორეთ როგორ მოვახერხე პირადად 52 მანათის გამორთმევა, არ ვიციო“. „ჩემის თაოსნობით იყო გამართული ერთი წარმოდგენა 1880 წელსაო“. „ამ წარმოდგენიდამ შემოსული ნაღდი ფული ჩავაბარე ნიკო ხუციშვილს, 52 მანათი-კი არა, 48 მანათიო“.

ამაზე მოვახსენებთ ჩვენს მოკამათეს შემდეგს: არ ვიცით, თქვენ რა ჩამბარებელი იყავით, როცა ფული გაბაშვილს ებარა და იმას პირობის ძალით პირდაპირ დანიშნულებისამებრ უნდა გადაეცა,—რომ თქვენ კ. გაბაშვილს გამოართვით 52 მანათი და არა 48 მანათი ჩემთვის გადმოსაცემად (და აღარ-კი გადმომეცით), ამის მოწმად მე წინადვე დავასახელე კ. გაბაშვილი და ახლა დავუმატებ ყველა იმ მოთამაშეთ, რომელთაც წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს და რომელთაც მე ქვემოდ დავასახელებ.

„მე ეს 48 მანათი მივიღე, მგონია, ზოგი ეკ. გაბაევისაგან და ზოგიც სხვა-და-სხვათაგან, რადგანაც მაშინ ყველა მოთამაშენი ჰყიდდნენ ბილეთებს და, სხვათა შორის, თითონ ხუციშვილიც, რომელმაც მე არ ჩამაბარა ფული, რადგანაც სკოლისათვის იყო ეგეც და მე უნდა მომცეთო. არ ვიცი-კი რამდენისა ჰქონდა ბილეთებიო“,—განაგრძობთ თქვენ.

არც ეკ. გაბაშვილისაგან და არც სხვებისაგან ერთი გროშიც არ მიგიღიათ, იმიტომ-რომ ბილეთები თქვენსა და კ. გაბაშვილს გარდა არავის არ გაუყიდნია და, თუნდ კიდეც გაეყიდნათ, ნება არა ჰქონდათ თქვენთვის გადმოეცათ, რადგანაც კასირად კ. გაბაშვილი იყო დანიშნული და თქვენც იმისთვის უნდა გადაგეცათ თქვენგან გაყიდულის ბილეთების ფასი. გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ სუფლიორობდა სხვა, რიგსა და წესს აძლევდა სხვა, თამაშობდნენ სხვები, სანთლებს ანთებდნენ სხვები, ფარდას ჰმართავდა სხვა, პარიკმახერად იყო სხვა და, თუ ბილეთებსაც სხვები ჰყიდნენ, მაშ რაღაში სუფევდა თქვენი დიდებული „თაოსნობა.“ ნუ თუ მხოლოდ იმაში, რომ ფულები დაგეთვალათ და თქვენის ხელით გებოძებინათ!

ამასთანავე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას შემდეგს:

ჩვენი მოწინააღმდეგე ბრძნებს, რომ ნ. ხუციშვილს მე გადავეცი 48 მანათიო; ამას გარდა თითონაც ჰქონდა ფული, არ ვიცი-კი რამდენიო და ეს ფული მე არ ჩამაბარა, რადგანაც სკოლისათვის იყო ეგეც და მე უნდა მომცეთო.

ცხადია, რომ კნ. ნ. თარხნიშვილი უანგარიშოდ ვერც ჩაიბარებდა ფულებს და ვერც გადმომცემდა და, თუ უანგარიშოდ ჩაიბარა და გადმომცა, საიდგან გაიგებდა წმინდა შემოსავალს, რომლისათვისაც იგი შრომობდა. ვსთქვათ, მაგალითებრ, ანგარიშს შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხარჯს გარედ სკოლას დარჩა 78 მანათი. როგორ მოხდა, რომ კნ. ნ. თარხნიშვილმა კარგად დაიხსომა მხოლოდ 48 მან. და მისი ამბავი; 78-კი, რომლისთვისაც იგი თაოსნობდა და რომლისათვისაც იღვწოდნენ იმდენი მოთამაშენი, დაავიწყდა!? აშკარაა, ჩემი მოწინააღმდეგე განგებ ჰხლართავს გზასა და განზრახ მარცხნივ უთითებს, რომ მარჯვნივ სიმართლე მიაფაროს და მით თავისი ბრალი მე დამდოს.

რომ მე ბილეთები არ გამიყიდნია, არც ფულები მიმიღია და მოკამათე განგებ მდებს ბრალს, დავამტკიცებ შემდეგითაც: საკამათოდ გამხდარი წარმოდგენა თავდა-პირველად სკოლისათვის არ იყო დანიშნული. იგი გაიმართა სასარგებლოდ აწ განსვენებულის კ. ნაცვალიშვილისა, რომელიც კარგი ნაცნობი იყო კნ. ნ. თარხნიშვილისა.

როცა გვირჩიეს, რომ წარმოდგენა ნაცვლიშვილის სასარგებლოდ უნდა იყოსო, მე მოვახსენე: „სასურველი და სანატრელია ყველა ღირსეულს ვაწეოდეთ; მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ვერ ვაწევით, ვერ ვაწევით და ვერც შევაწევთ იმიტომ-რომ ცხოვრება ჩვენგან ძალიან ბევრს თხოულობს კეთილის საქმისათვის, ჩვენ-კი იმისთვის ძალიან ცოტას ვიმეტებთ. ეს ნახორხალი ვერ მისწვდება ყველა კეთილს საქმეს და ამიტომ ღირსეულებში მხოლოდ უმეტესად ღირსეულს უნდა მოვახმაროთ. კ. ნაცვლიშვილი საკმაოდ ნასწავლი ახალგაზდაა, შევიდა ცხოვრებაში და უნდა შეეძლოს ცხოვრებასთან ბრძოლა. ამას იქით თითონ უნდა შეეწიოს კეთილს საქმეს. ამიტომ იმედი მაქვს, რომ კ. ნაცვლიშვილი თითონაც არ იკადრებს წარმოდგენის ფულების აღებასა. წერა-კითხვის საზოგადოებას გადავცეთ ფულები და ის უფრო სასარგებლოდ მოიხმარებს-მეთქი. ეს ჩემი აზრი ზოგმა არ მოიწონა. ერთმა სულ უარიცა სთქვა თამაშობაზედ იმ შემთხვევაში, თუ მე გავერეოდი წარმოდგენაში. რომ საქმე არ მოშლილიყო, როლები გადვუწერე ყველას, სცენა მოვმართე და წარმოდგენის დღემდის სხვაგან წავედი; წარმოდგენის დღეს დავბრუნდი და წარ-

---

დაც ხმელის ლუკმით, მაგრამ ტკბილის სიტყვით გული მომილბეს. რაც შენ ჩამოთვალე, მართლა რომ ჩინებულია, მაგრამ მე ვერ ვიცნობ. შაქროს ტკბილი ხასიათი, იმისი პატიოსანი გული ჩემთვის საკმარისი სიმდიდრეა. ტყუილად ნუ მიღვიძებ თავ-მოყვარეობას; ჩემი სიმღერა გაბედნიერებს შენ, ქეთევანს, შაქროს, და ეს ჩემთვის სრულიად საკმაოა. აი სასაფლაოზედაც მივედით, აბა მიჩვენე დედიჩემის საფლავი. საწყალი დედა! მე კარგად მახსოვს ავადმყოფი დედა, მკერდ-ჩავარდნილი, მხრებში მოხრილი. ნეტა თუ ეხლა მაინც ბედნიერია?

ჯოვანი დამუნჯდა, პასუხი აღარ მისცა თავისს ქალს, ნაბიჯი უფრო მოუმატა და თითქმის მიათრევდა ადელს. პატარა ხნის შემდეგ ისინი გავიდნენ ვერის სასაფლაოს მეორე თავში და იქ წაადგნენ უშველებელს პოვოსკას, შავის „კლიონკით“ გადაჩარდახებულს. კუჩერი პოვოსკის წინ იჯდა და შავის პურითა და ნივრით ილმურძლებოდა.

— თქვენ ძალიან დიდხანს შალოდინეთ, მკვახედ მიჰმართა იმან ჯოვანს: თქვენის ანგარიშით ეხლა მცხეთას უნდა ვყოფილიყავით გაცილებული.

— მამა, განა თქვენ მიხვალთ სადმე?... ხმის კანკალით წაილუღლუღა ადელიმ და შიშით მუხლები ჩაეკეცა. გარშემო სრული სიჩუმე იყო. ადამიანის ჭაჭანება არსაიდგან მოსჩანდა, მხოლოდ მდორე მტკვარს გაუდიოდა დუდუნი და აქა-იქ საფლავებს შუა შემოდგომის გაბიბინებულს ბალახს ახრამუნებდა იალაღზედ გაგდებული გამხმარი ვირი.

— დიახ, მე მივალ და შენც თან მიმყავხარ, ჩემო ასულო.

— მე?... არა... ეგ შეუძლებელია... ჩემი სახლი აქ არის, მე ეხლავე ავირბენ შინ, განა მარტო-კი გზას ვერ გავიგნებ!

— ნუ შესწუხდები... ჩქარა ჩაჯექ! შენთან უსაგნო ბაასში მთელი საათი დავკარგეთ.

— არა, არ შემიძლიან! დაიწივლა ადელიმ და გაჰკურცხლა სასაფლაოსკენ.

— მიშველე! უბძანა ჯოვანმა კუჩერს და ერთს წამში ორმა მძლავრმა ხელმა გააკავა ადელი. მამამ პირზე მაგრა ხელი მოუჭირა და ჩააგდო „პოვოსკაში“.

ერთს საათს შემდეგ ჯოვანი და ადელი შავის უცნაურის ეკიპაჟით მიჰქროდნენ მცხეთისკენ. ადელი გულ-შემოყრილი მამის მხარზედ იყო დაყრდნობილი და თითქო არავითარს სიცოცხლის ნიშნებს არ იჩენდა. შავი ხშირი თმა გადმოსწვდოდა მთელს პირი-სახეზედ და საზარელ რკლად უკეთდებოდა იმისს ფერ-მიხდილს, ბაგე-შეკრულსა და უსიცოცხლო სახეს. მამა შეწუხებული არ იყო შვილის ამ გვარის მდგომარეობით, ის კარგად ატყობდა, რომ ეს მხოლოდ დედაკაცის აგებულების სისუსტე იყო და სხვა არაფერი. კმაყოფილების ნიშნად ჯოვანი ხელებს იფშვნეტდა, ურცხვად იღიმებოდა და ჰფიქრობდა: რა მარჯვედ, რა ადვილად და უდავიდარაბოდ ჩავიგდე ეს საუნჯე ხელში! ეს სიმდიდრე, მართალია, ჩემი საკუთრება იყო, მაგრამ საცა კანონი და ძალაა, იქ საკუთრებაზედ ვინ გალაპარაკებს: „ის თექვსმეტის წლისაა, უნდა ეკითხოს ვისთან უნდა ცხოვრებაო“, მითხრა ერთმა გამოცდილმა ადვოკატმა და მეც ეს საქმე ამ გვარად მოვახერხე. მე ეხლა პირდაპირ „ნიჟნის“ იარმუკაზე წავალ. ამისთანა ცუგრუმელა მომღერლით აუარებელს ფულს შევაგროვებ და ამდენის ხნის წანწალს ბოლოს მოვუღებ, ჩემს სამშობლოში დავისვენებ. საწყალი გოგო! რამდენი იბრძოლა, სულ თავ-პირი დაგვაფხრიწა მე და მეეტლეს! სულელი! რომ იცოდეს რა მომავალი მოელის, რა კავალრები ეყოლება შაქროს მაგივრად, ღმერთს თაყვანსა სცემს, რომ მოარჩა იმ გლახაკებს. შამპანური ღვინო, ატლასის კაბა და ტკბილი ენა განათლებულ მოარშიყეთა მალე დაავიწყებს მთაწმინდის კალთაზე მიკრულს ოფოფის ბუდეს.

ეკ. გაბაშვილისა

(შემდეგი იქნება)

---

## კვალი საერო პოეზიისა

ქართლის ცხოვრებაში.

(წერილი მესამე)

რა გვარს კვალს ვეძებთ საერო პოეზიისას ქართლის ცხოვრებაში? ამის პასუხად საჭიროა წინდაწინვე ვსთქვათ, რომ საერო პოეზიის სფერაში აქვსთ ადგილი როგორც ლექსებს, ლეგენდებს, პოემებს, აგრეთვე ყველა დანარჩენს საერო გარდმოცემას, ტრადიციას. საერო ლექსების შინაარსი შეიძლება აღმოჩნდეს „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც ნესტორის მატიანეში იპოვნეს კვალი ვლადიმირის ციკლის პოეზიისა; ჩვენში, მართალია, ეს ჯერ მოულოდნელი და შეუძლებელი საქმეა, რადგანაც არ არის შეკრებილი ნაშთი ზეპირ სიტყვიერებისა, ხოლო, რაიცა შეეხება ტრადიციასა და გარდმოცემის კვალს, შეიძლება, თუ დაკვირვებით გამოვიძიებთ მატიანეს, აღმოვაჩინოთ.

„ქართლის ცხოვრებაში“ უტყუარად არის შეტანილი კვალი ესრედ წოდებულის ეტიოლოგიურისა, სიმბოლიურისა, პოლიტიკურისა და რელიგიურის მითებისა. ჩვენ სათითაოდ მოვიყვანთ მაგალითებს დასახელებულის მითებისას. რას ვუწოდებთ ეტიოლოგიურს მითს? ეტიოლოგიურს მითს ეძახიან ისეთს გარდმოცემას, რომელიც სცდილობს ახსნას მიზეზი რომელისამე წესისა, სახელწოდება ადგილისა, მოტივი ზნე-ჩვეულებისა. ხალხი ჰხედავს რაიმე მოვლენას და თავისებურად ეძებს იმისს მიზეზს. ხალხმა იცის რომელიმე გეოგრაფიული ადგილი, იმისს გამჩენ-დამბადებელს თითონ ჰპოულობს. ჩვენმა ერმა იცის სახელი „ქართლი“ და წარმოდგენილი აქვს, რომ „ქართლის“ დამაარსებელი იყო სულიერი არსება „ქართლოსი“. აი როგორ მოხდა ქართლოსის შექმნა! ქართლოსმა-კი არ უწოდა თავისი სახელი ქართლს; არა, „ქართლმა“ გამოიწვია ეპონიმის, იმის აღმშენებელის არსებობა. რომულმა-კი არა დაარქვა თავის სახელი რომს, არამედ ამ უკანასკნელის არსებობამ ხალხის მოსაზრებაში დაჰბადა რომული, რომელსაც უნდა გაეშენებინა ვითომ «საუკუნო ქალაქი». ჩვენი ქართლოსი, როგორც რომული, იქნება თავისს დღეში არც-კი ყოფილიყოს ქვეყნად, მაგრამ „ქართლის“ სახელმა გააპიროვნა იმი-

მოდგენაზედ დავესწარ როგორც მაცქერალი.

ამაზედ დავიმოწმებ კნეინა ნინო ორბელიანისას და ვთხოვ მიუკერძოებლად განგვიკითხოს.

წარმოდგენა გათავდა. ხარჯს გარედ დარჩა 52 მან. ეს ფული გაბაშვილს კ ნაცვლიშვილისათვის უნდა გადაეცა, მაგრამ ნაცვლიშვილმა, როცა მოვიდა, უარი გამოაცხადა და არ მიიღო. მაშინ ეს ფული ერთ-ხმად სკოლისათვის გადასდეს და სთხოვეს კ. გაბაშვილს, რომ ეგ 52 მანათი ნ. ხუციშვილს გადაეცითო.

ერთს დილას ოთარ ივანეს ძე თარხნიშვილი შემოვიდა ჩემთან და მითხრა: სკოლის ფულს—52 მანათს დღეს მიიღებთ; ეს არის ეხლა კ. გაბაშვილმა გადასცა კნ. ნ. თარხნიშვილს და იმას შენთვის უნდა მოეტანაო.

არ გასულა ათი წუთი ამას შემდეგ და კ. გაბაშვილმა გზად ჩამოიარა ჩემთან და მითხრა: კნ. თარხნიშვილმა მითხრა ნ. ხუციშვილი შინ არ არის, ფული მე მომეცი და მე გადავცემო. მეც იმას გადავეცი, რომ თან არ გამყოლოდა, დღესვე ადი და მიიღეო. სწავლა გავათავე და, როგორც უნდა წავსულიყავ მისაღებად, კნ. თარხნიშვილმა ჩამოიარა ტარანტასით და მითხრა: კ. გაბაშვილისგან მივიღე 52 მანათი, სხვაგან მეგულებოდი და ამიტომ შინ დავსტოვე; ქალაქიდგან დავბრუნდები და გადმოგცემო. (ამ დროსაც ჩემთან იყო ოთარ ივანეს ძე თარხნიშვილი). ქალაქიდგანაც, დიდი ხანია, დაბრუნდა, მაგრამ ფული-კი ჯერაც არ გადმოუცია. ბევრჯელ მოუსთხოვეს მოთამაშეებმა ეს ფული, მაგრამ უოველთვის „ეხლა არა მაქვს და მალე მოგართმევთ"-ოთი იშორებდა.

„48 მანეთის მეტი არა ყოფილა ჩემს ხელში წარმოდგენისა; ის ფულიც ჩავაბარე ხუციშვილს. ამას მიმოწმებენ ყველა მოთამაშენი და კნ. ბ. თარხნიშვილისაო, ბრძანებს კნ. ნ. თარხნიშვილი.

არა, ბატონო, თქვენთან, 52 მანეთს გარდა, გახლავს კიდევ ორის წარმოდგენისა: 27 მან. ერთი და 25 მეორე. თქვენთან დღეს 104 მანეთია სკოლისა.

ვკითხეთ თქვენგან განგებ მოწმად დასახელებულს კნ ბ. თარხნიშვილისას და იმათ, ვინც პირველი მოღვაწენი იყვნენ წარმოდგენებში: ეკატერინე რევაზის ასულს გაბაშვილისას, კნ. ნინო ორბელიანისას და მოგვაგონებენ. ამ ამბავს მიმოწმებენ ყველანიო. რომ ბრძანებთ, რომლის იმედი გაქვსთ მაინც, ერთის დასახელებულის მეტისა. აბა მაშ ვკითხოთ და ვსთხოვოთ ნამდვილი კეთილშობილური, პირუთვნელი მოწმობა კნ. ნინო ორბელიანისას, ეკატერინე რევაზის ასულს გაბაშვილისას, ცხინვალის ბოქაულს მიხეილ ევგენის ძეს თარხნიშვილს, ახალციხის მაზრის მომრიგებელ-შუამავალს თ. გრიგოლ ალექსანდრეს ძეს თარხნიშვილს, ახალ-ციხის ბოქაულს იოსებ რევაზის ძეს თარხნიშვილს, ბორჩალოს მაზრის ბოქაულს ვასილ ალექსანდრეს ძეს თარხნიშვილს, კ. გაბაშვილს და მთლად თარხნიაანთ ქალბატონ-ვაჟბატონებს!

„როცა სკოლისთვის ვთამაშობდით, რატომ გაზეთით არ ვაძლევდით ანგარიშს, ამისი მიზეზი კარგად იცის ნ. ხუციშვილმაო", ბრძანებთ თქვენ.

დიაღაც რომ კარგად ვიცი. სკოლისთვის თამაშობდით, სკოლას-კი არას აძლევდით და გაზეთში როგორღა გამოაცხადებდით!

ერთის სიტყვით, მე გამტყუნებთ თქვენ ორს საქმეში: პირველად იმაში, რომ საზოგადო ფულები მიიღეთ და არ გადმომეცით დანიშნულებისამებრ; მეორედ იმაში, რომ განგებ ცილსა მწამებთ, თქვენს ბრალს მე მდებთ და ალალ-მართალს კაცს ჩირქსა მცხებთ. ეს არ შეშვენის თქვენს წოდებას, თავმოწონებას, თქვენს გვარიშვილობასა და დიდ-კაცობას.

თუ რამე სიმართლე მოგიძღვით, ამოვირჩიოთ უპირატესნი ჩვენს წარმოდგენებზედ მოღვაწენი, იმათ მივანდოთ და ვსთხოვოთ გამოაცხადონ „ივერიაში", ჩვენში რომელია ისეთი, რომ თითონ საზოგადო ფულები მიიღო და სხვას-კი ცილსა სწამებს და არცხვენს. მე ჩემის მხრით ვირჩევ თქვენგანვე დასახელებულთ კ. გაბაშვილს, ეკატერინე რევაზის ასულს გაბაშვილისას, კნეინა ნინო ორბელიანისას და ცხინვალის ბოქაულს მიხეილ ევგენის ძეს თარხნიშვილს. ვირჩევ ამათ და უმორჩილესად ვსთხოვ მიიღონ შრომა, სიმართლე აღადგინონ, სამართალი გადაგვიჭრან და ისე გაგვიკითხონ, როგორც სინიდისმა და საქმის მიუდგომელმა გაჩხრეკამ ჩააგონოს. *)

ახალქალაქის სკოლის მასწავლებელი ნიკო ხუციშვილი.

*) რადგან მოკამათეთ თავ-თავიანთი აზრი გამოსთქვეს და ერთმა მათგანმა უკვე მიჰმართა მედიატორეთა სამართალს, რედაქცია საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს, რომ ამ საგნის შესახებ აღარავითარს ბაასსა და კამათობას აღარ დაჰბეჭდავს.

რედ.

## წვრილი ამბავი

ავრიკელს მოგზაურს სამუილ ბეკერს შეუდგენია წერილი და დაუბეჭდია „Times"-ში, რომელშიაც ნილოსის მიერ ქვევით დაწევასა და დაკლებას იმას ამიზეზებს, რომ ალბად აკბარს გზა შეუკრეს და ეს ტოტი ნილოსში აღარ ჩადისო. ბეკერი ადრევე, როდესაც ინგლისელნი სუდანში აპირებდნენ წასვლას, აფრთხილებდა ინგლისის მთავრობას, რომ შეიძლება ასე მოხდესო. საყურადღებო ის არის, რომ, ბეკერის აზრით, იოსების დროინდელი შვიდის წლის გვალვა ამავე მიზეზს უნდა მიეწეროსო.

— ამერიკაში ამ ჟამად სულ 34 ელექტრონის რკინის გზა ჰმოქმედებს, ხოლო ელექტრონის ვაგონთა რიცხვი 223-მდე იქნება.

— პარიჟის ახალს ცირკში არდგენენ პანტომიმას, რომელშიაც მომქმედ პირად არტურ შოპენჰაუერია გამოყვანილი. ამ როლს ჰთამაშობს მასხარა ავგუსტი. ამ პანტომიმაში სასაცილოდ აგდებულია სალიტერატურო მოდა შოპენჰაუერის შესახებ პარიჟში.

— პროფესორი რუდოლფ ფალბი, რომელმაც დედამიწის ძვრის დროს წინასწარმეტყველება იკისრა, თავისს „Erdbebenkalendar"-ში 1889 წლისათვის ამბობს, რომ მიწის-ძვრას უნდა მოველოდეთ: 17 მარტს, 15 აპრილს, 15 მაისს, 11 აგვისტოს, 9 სექტემბერს, 25 ოქტომბერს და 23 ნოემბერს. უფრო სუსტს მიწის-ძვრას უნდა მოველოდეთ: 1 და 31 იანვარს, 15 თებერვალს, 1 და 31 მარტს, 13 ივნისს, 12 ივლისს, 25 სექტემბერს, 9 ოქტომბერს და 22 დეკემბერს. დიდს ქარიშხალსა და სხვა ბუნების მოვლენას უნდა მოველოდეთ: 17 იანვარს, 30 აპრილს, 29 მაისს, 28 ივნისს, 28 ივლისს, 26 აგვისტოს, 7 ნოემბერს და 7 დეკემბერს.

— ვერსალში მეტრანპაჟს, გვარად ალმახერს, ამას წინად მიუღია ამერიკიდგან ანდერძის წერილი, რომ შენს საკუთრებად ხუთი მილიონი დოლარია გადადებულიო. ეს ფული დაუტოვებიათ ალმახერისათვის იმას, ვინც ამას სიკვდილისაგან გადაურჩენია. ალმახერს მიაწყდა თურმე დიდ-ძალი ხალხი და შველასა და შემწეობასა სთხოვდნენ მაშინ, როცა ეს კაცი ცნობებსა ჰკრებდა და ამერიკაში აპირებდა წასვლას ფულის ჩასაბარებლად. ალმახერს რომ ვერაფრით მოუშორებია თავი მთხოვნელთაგან, დამალულა და ისე დამალულა, რომ ვეღარ უპოვნიათ. 20 სექტემბრიდგან ბევრი უძებნია პოლიციას, მაგრამ ვერსად მოუხელავს. ამბობენ, რომ უეჭველია მოუკლავსთ და ანდერძის მისაღები ქაღალდები მოუპარავსთო.

— ბუდაპეშტში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა: 15 წლის ყრმა ევგენი პროპპერი, რომელიც რამდენჯერმე ციხეში მჯდარა, მისულა თავისს დედასთან, რომელიც საკვირავით იჩენდა თურმე თავს, და ფული უთხოვნია. როცა დედას უარი უთქვამს, შვილი დაჰმუქრებია მოკვლას და დანა დაურტყავს მკერდში. ეს პაწია ავაზაკი დაუპატიმრებიათ; დედის სიცოცხლე განსაცდელშია თურმე.

## გასართობი

ადამიანის ხასიათის გამოსარკვევად რას არ მიაქციეს ყურადღება. ცხვირები ჰზომეს, ხელის თითების სიმსხვილე-სიწმინდეს მნიშვნელობა მისცეს, თავის ქალის სიმრგვლე-სიპრტყე აღნიშნეს. ყველა ეს რომ მოინელეს, ახლა ფრჩხილებისათვის მიუქცევიათ ყურადღება. ფრჩხილის მეთვალყურენი ამბობენ: გრძელი ფრჩხილები ჰნიშნავს იმას, რომ ამისთანა ფრჩხილების პატრონებს ოცნებობა უყვარსთ, ზარმაცნი არიან, ხელოვნებათა თაყვანსა სცემენ; პრტყელი და გრძელი ფრჩხილები ჭკუასა და გონიერებას ამტკიცებს; პრტყელი და მოკლე ფრჩხილი ჰნიშნავს ჯიუტობას, კერპობასა და თვით-ნებობას; ნიშნებიანი ფრჩხილები ამტკიცებს ჯანის სიმრთელეს, ბედნიერებას და სიუხვეს; მაგარი და ფხვიერი ფრჩხილები ჰნიშნავს სიბრაზეს, სისასტიკეს, ცხარე ხასიათს და ავაზაკობის ჩასადენად ბუნებითს მიდრეკილებას; ბრჭყალებსავით მოკაკული ფრჩხილი ჰნიშნავს სიავესა და პირფერობის სიყვარულს; რბილი ფრჩხილი—ჯანის სისუსტესა და სულ-მოკლეობას; მოკლე და ხორცამდე დაკბენილი ფრჩხილი ჰნიშნავს სისულელესა და ბიწიერებას. ამ მეთვალყურეთა თეორიით, საცოლოს ამორჩევის დროს ყმაწვილმა კაცმა ქალს ფრჩხილები უნდა გაუსინჯოს და იმის კვალობაზე გადასწყვიტოს შერთვა-შეურთველობაო.

**

ქალნი და კაცნი ვერ იქნა და ვერა, ვერ მორიგდნენ. აი, ამერიკაში ეხლა კიდევ ახალი საბაბი გამოსჩენიათ უთანხმოებისა და აურზაურისა. მინესოტის შტატის გაუთხოვარნი ქალნი თხოულობენ კანონად დაწესდეს, რომ ყოველმა კაცმა, რომელიც-კი დღეიდგან რომელსამე ყმაწვილს ქალსა და ან ქვრივს დედაკაცს არშიყობას დაუწყებს, ოთხის კვირის განმავლობაში გამოუცხადოს პირდაპირ, იმისი ცოლად შერთვა აქვს აზრად, თუ უბრალოდ ღლაბურცობსო. იქაურნი ყმაწვილნი კაცნი-კი წინააღმდეგნი არიან ამ კანონ-პროექტისა. ესენი ამბობენ, რომ ოთხის კვირის განმავლობაში ყმაწვილი კაცი ჯეროვანად ვერ გაიცნობს თვალში ამოღებულს ქალს და შეიძლება მოსტყუვდესო. ამ გვარ ვადად, სულ ცოტა, რვა კვირა მაინც უნდა იყოსო.

---

სი ქვეყნად არ-ყოფილი დამაარსებელი. ქართლი რომ არ ყოფილიყო, არც ქართლოსი იქნებოდა; რაკი «ქართლი» იცნო ერმა, ისიც წარმოიდგინა, რომ ამ ქართლს დამაარსებელიც ეყოლებოდა და უთუოდ იმან უწოდა თავისი სახელი „ქართლსაო". ეს მოსაზრება ერისა ჩვენს მატიანეს დაუცვამს; იგივე მოსაზრება გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ „ქარ. ცხ." შემდგენელს უხელმძღვანელნია ერის გარდმოცემით.

განა ერთი «ქართლოსი» გვაძლევს საბუთს მივაწეროთ ჩვენს ერს ცნობის მოყვარეობა, სურვილი თავისებურად გამოიკვლიოს, გამოიცნოს, ვინ გააშენა საქართველო, იმისი მეზობელთა ქვეყნები?! ერმა იცოდა უხსოვართა დროთაგან არსებობა ბარდავის ქალაქისა, იმის ფანტაზიამ ამ ქალაქს მისცა თავისი აღმშენებელი, სახელად ბარდოსს, ძმა ქართლოსისა, შვილი თარგამოსისა. ქალაქი მოვაკანი თხოულობდა თავისის ვინაობის ახსნას, თავისის დასაწყისის მიზეზს; ერმა გააპიროვნა იმისი აშენებელიც და მიაწერა დაარსება მეორე ძმას ქართლოსისას მოვაკანს. არ იქნებოდა ბარდავისა და მოვაკანის ქალაქი, არც ბარდოსისა და მოვაკანის მოგონება დასჭირდებოდა ერს, მაგრამ იმისი ცნობის-მოყვარეობა თხოულობდა ეპოვნა იმათი დამაარსებელი. სუყველაზე ადვილი ახსნა ის იყო, რომ ამშენებელმა თავისი სახელი აშენებულს ქალაქს უწოდა: ჰერეთმა, ძმამ ქართლოსისამ, ააშენა ჰერეთი, ეგროსმა—ეგრისი, ლეკოსმა უწოდა თავისი სახელი ლეკეთს. აი დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა". ხალხმა გააპიროვნა ქალაქების აღმშენებელნი, იმისმა წარმოდგენამ დაჰბადა ლეკოს, ეგროს, ჰეროს და სხ. იმიტომ რომ დაარსებული ქალაქები თხოულობდნენ თავიანთს დამაარსებელთ. ხალხმა ყველა ქალაქს, შესანიშნავს რითიმე, ან მხარეს საქართველოსას, დაუწესა თავისი აღმშენებელი. ამ გვარმაც ახსნამ იქონია თავისი გავლენა მატიანეს დამწერზე და ამ უკანასკნელმა შეიტანა ხალხის ახსნა ქალაქების დაარსებისა „ქართლის ცხოვრებაში" (ქართ. ცხ, გვ. 15—16).

საიდგან გამოჩნდნენ ქართლოსის შვილები? აქაც ერის ნაწარმოების კვალი სჩანს. მხოლოდ ორი პერიოდი განირჩევა საქართველოს გაშენებაში: ხანა ქართლოსისა და იმისის ძმებისა, რომელთაც აღაშენეს უძველესი ქალაქები, ან უწოდეს თავისი სახელი მთელს მხარეს (ქართლი, ეგრისი); მეორე ხანა მცხეთოსისაა და იმისის ძმებისა. ჯერ საქართველოს ნაწილების ახსნა იყო საჭირო. ხალხმა ახსნა, რომ ლეკეთი ლეკოსმა დააარსაო, ქართლი—ქართლოსმა, ეგრისი—ეგრისმაო. ახლა მის გონება-მახვილობას ჰსურს ახსნას, საიდგან წარმოსდგნენ ქალაქები მცხეთა, უფლის-ციხე და სხვანი. ქართლოს ჰყავდა ხუთი შვილი: მცხეთოს, გარდაბოზ, კახოს, კუხოს, გაჩიოს. ხალხმა აჩუქა ქართლოსს ეს შვილები იმიტომ, რომ გეოგრაფიამ მოინდომა თავისი ახსნაო. ქალაქი მცხეთა არსებობდა, ამისთვის ხალხმა წარმოიდგინა იმისი დამაარსებელი მიზეზიც: მცხეთა მცხეთოსმა ააშენა, შვილმა ქართლოსისამა. ქართლოსს ხუთის შვილის პატრონს, ხალხის მოსაზრებამ მეუღლეც მისცა! ცოლმა იმისმა ააშენა დედა-ციხე და სხვა. დედა-ციხე თხოულობდა განმარტებას. საიდან წარმოსდგა სახელწოდება ამ ქალაქისა? მცხეთოსისა და იმის ძმების დედამ ააშენა ქალაქი და დაერქვა „დედა-ქალაქი". კახეთის, კუხეთის სახელებმა გამოიწვია აგრეთვე მათ აღმშენებელთა გაპიროვნება: ათენას თავისი სახელი დაარქვა ღმერთმა ათენა-პალლადამ, აგრეთვე კახოსმა და კუხოსმა გააშენეს და თავისის პიროვნობის გასამტკიცებლად დაარქვეს თავიანთი სახელი კახეთი და კუხეთი. რომ არა ყოფილიყო კახეთი და კუხეთი, ხალხის მოსაზრება ვერ წარმოიდგენდა ქართლოსის შვილებს კახოსსა და კუხოსს. ამ ძმებს ემატება გარდაბოზ და გაჩიოს. ამათის დაბადების მიზეზიც კიდევ ის არის, რომ ერს სურს მიზეზი უპოვნოს გეოგრაფიას: ქალაქი გაჩიანი თხოულობდა თავისს აღმშენებელს, ხალხმა იმას აკუთვნა შვილი ქართლოსისა გაჩიოს, რომელმაც გააშენა გაჩიანი. გარდაბანი, როგორც თვით «ქართლის ცხოვ.» ხელნაწერები ჰხსნიან, მდებარეობდა „ქაპალას ქვეით ნაკიდურსა და ტაგნაგეთას ქვეით ვიდრე მტკვრამდე" (ქარ. ცხ. გვ. 19, შენ. მე-6). ამ გარდაბანის მხარეს უნდოდა თავისი პატრონი, რომელიც ხალხმა გააპიროვნა გარდაბოზში*).

აქედამ, როგორც ჰხედავთ, ქართლოსი და ძმანი მისნი, მცხეთოსი და ძმანი მისნი, უფლოს და ძმანი მისნი არიან ნაყოფნი ხალხის მოსაზრებისა, ხალხის სურვილით დაბადებულნი ასახსნელად საქართველოს მხარეებისა და ქალაქებისა. ეს მოსაზრება და სურვილი ერისა, რათა ახსნას მიზეზი და დაუკავშიროს არსებული მხარეები და ქალაქები იმათს აღმშენებლებს, ჰბადავს პირვანდელს გენეალოგიას ჩვენის ხალხის მართებლებისას. აქ მუშაობს ქართველთა ერის გონება და დაკვირვება, აქ ვხედავთ ხალხის ფანტაზიას და არა არაკს, მოგონილს უცხო ტომის წარმომადგენლის მიერ. ხალხი დაეკითხა თავისს თავს. რა არის მიზეზი არსებულისაო და თვითვე ახსნა მიზეზი საქართველოს აშენებისა, დაარსებისა. ეს ახსნა ხალხისა მემატიანეს დამწერმა, რომელიც თვით ახლო იდგა ხალხთან, კარგად იცოდა. თვით მწერალი დარწმუნებულია, რომ ნამდვილად ყოფილა ქვეყნად ქართლოსი ძმებითურთ და შვილებითურთ. ყოველივე ეს შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში". ერს ბუნდად ახსოვს, რომ უძველესი მხარე საქართველოსი იყო ქართლი და იმისი გაშენება მიაწერა უფროსს ძმას; ერს ახსოვს, რომ მცხეთა არის უძველესი ქალაქი მისი და აღშენება მიაწერა უფროსს შვილს ქართლოსისას-მცხეთოსს. თვით ხალხში არის ჩარჩენილი ღრმად გულში ძველის დროების ამბავი და მის გამორკვევას იგი თავისებურად სცდილობს. პირველს ჩვენს მწერალს ხალხის მოსაზრება დაუცვამს „ქართლის ცხოვრებაში" და ამისათვის იგი მწერალი დიდის მადლობის ღირსია.

ა. ხ.

*) შვილნი მცხეთოსისანი: უფლოს, ოძრხოს და ჯავახოს არიან შექმნილნი ხალხის მოსაზრებით ასახსნელად უფლის—ციხესი, ოძრხესი და ჯავახეთისა („ქართ. ცხ.", გვ. 20).

# დეპეშა

## 11 ოქტომბერი

**ვენა.** საპარლამენტო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ავსტრიის იმპერატორის კურთხევა ბოგემიის მეფედ დიდად საყურადღებო და საგულისხმო საგანიაო; იმედი აქვსთ, რომ ეს საქმე სასურველად გადასწყდებაო.

მეფე მილანმა, როცა ვენაში იყო, გამოაცხადა, რომ განზრახვა მაქვს ტახტიდგან გადავდგეო.

## 12 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია დროებითი წესდება პირველის რიგის „ოპოლჩენიის“ ჯარის-კაცების შესახებ. ეს წესდება შედგენილია სამხედრო ბეგარის წესდების მე 303 მუხლის ახალის რედაქციის მიხედვით. ოთხის უმცროსის რიგის ჯარის-კაცნი ექვემდებარებიან წესებს ანგარიშისას რომელიც დადგენილია სამხედრო და შინაგან საქმეთა მანისტრების თანხმობით, და უმაღლესის ნება დართვით. ჯარის-კაცნი შესაძლოა მოიწოდონ სავარჯიშოდ მხოლოდ ორჯელ პირველის ოთხის წლის განმავლობაში, თითოჯერ ექვსის კვირის ვადით.

**კიევი.** გუშინდელს სხდომაზე შაქრის მექარხნეებმა დაადგინეს: რაც მეტი შაქარი დაუმზადეიათ, იმის გატანა დააჩქარონ. 1889 წლის პირველ იანვრისათვის უნდა გაიტანონ 80% და პირველ მაისამდე 20%. ამასთანავე აღნიშნულია, თუ რამდენი შაქარი უნდა მოამზადოს თითო ქარხანამ.

**პეტერბურგის ბირჟა, 11 ოქტომბ.**

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 151 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 15 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 261½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 237 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არ ს

13 დღე ხუთშაბათი. წამ. კარპისა და ფლორენტისა. კათოლ. წმ. მეფე ედუარდისა. სომეხ. წმ. დიონისიასი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—25, ჩადის 5—3. მთვარე 20 დღისა.

14 დღე პარასკევი. წამ. ნაზარიასი. კათოლ. ფორტუნატისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—26, ჩადის 5—2. მთვარე 21 დღისაა.

15 დღე შაბათი. ღირსთა ევთიმესი და ლუკიანესი. კათოლ. ქვრ. იადვიგისა. სომეხ. წმ. მახარობელთა მათესი, მარკოსისა, ლუკასი და იოანესი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—27, ჩადის 5—1. მთვარე 22 დღისაა.

16 დღე კვირა. წამ. ლონგინისა და ევფროსინესი. კათოლ. ეპ. ფლორენტინასი. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—28, ჩადის 5—0. მთვარე 23 დღისაა.

17 დღე ორშაბათი. ღირსთა კოსმასი და დამიანესი, აგრეთვე ანდრიასი. კათოლ. ალექსანდრესი და ვიქტორისა. სომეხ. ლონგინისა, იოსაფისა, ლაზარესი და სხვათა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43. ტფილისში მზე ამოდის 6—29, ჩადის 4—59. მთვარე 24 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . | 3½ „ |
| „ 2 „ | | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 „ |
| „ „ 2— | | 4 „ |
| „ „ 3 „ | | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | . | 4 „ |
| მე-3 — . | . | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| „ 2 „ | | 7 „ |
| სუკი . . . | | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| ღორის ხორცი . . | | „ „ |
| „ 2 „ | | „ „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

**ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ** ქურნალურის დადგენილობის ძალით 1-ლს სექტემბერს № 23, მუხ. III, 1888 წლის პირველ ნოემბრისათვის თავისს კრებაზედ დანიშნა ვაჭრობა ნარდად გაცემაზედ ქვის ეკკლესიის აშენებისა, სასწავლებლის უმთავრესის შენობის გვერდით. ამ ვაჭრობას, კანონისამებრ, უნდა მოჰყვეს სამის დღის შემდეგ განმეორებითი ვაჭრობა. ვაჭრობის დროს ნება დართულია მოციმეობა მოვაჭრეთა შორის, როგორც სიტყვიერად, აგრეთვე დაბეჭდილის განცხადებების საშუალებით. ამ შენობის ასაგებად დამტკიცებულის სმეტისამებრ დანიშნულია საკუთრად მუშაობისათვის და სხვა და სხვა მასალებისათვის 16,443 მან. და 81 კ. ამ ფულის ანგარიშში ნარდად ამღებთ ნება აქვსთ შენობისთვის იხმარონ ძველის ტაძრისა და ძველის ციხის ქვები, სასწავლებლის შენობის მახლობლად, თანხმობით სასწავლებლის სამმართველოისა. სიტყვიერს ვაჭრობაში შემოსვლა ვისაც ჰსურსთ, ვალდებულნი არიან ვაჭრობისთვის დანიშნულს დღეს 12 საათამდე შემოიტანონ ამაზედ განცხადება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში. ამ პირთა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ორი მოწმობა—გილდისა და თავიანთ წოდებაზედ და აგრეთვე მისაღებად ნება დართული გირაოები. გირაონი, საწარდო ფულის ერთ მესამედად ლირებულნი, უნდა შეადგენდნენ ან ნაღდს ფულს, ბანკის ბილეთებს და სხვა კრედიტის ქაღალდებს, ან გირაოს მოწმობებს ქალაქის მამულებზედ. გირაოს მიმცემთა რწმუნების წერილებში უნდა იყოს ნათქვამი, რომ ისინი მიანდობენ რწმუნებულ პირთ გირაოებს წინდად სამუშაოს ნამდვილად აღსრულებისა და ბეთ დატოვებულის ფულებისა, აგრეთვე ყველა სხვა გარდასახადთა და ჯარიმათა, რომელნიც შეიძლება დაატყდეს ნარდად ამღებს ნარდად აღებულის საქმის გამო. თუ ეს ყოველივე არ იქმნა მოხსენებული, გირაოებს არ მიიღებენ.

საზოგადოდ განცხადებებს ვაჭრობაზედ უნდა დაკრული ჰქონდესთ გერბის მარკები და დაწერილი უნდა იყოს ფორმისამებრ, რომელიც თან დართული აქვს მუხ 1909 ტ. X, ნაწ. 1. განცხადებაში უნდა აღნიშნული იყოს ფასი ასოებით დაწერილი და თან გამოცხადებული უნდა იყოს სურვილი ნარდად საქმის აღებისა ყოვლაფერში თანახმად ვაჭრობაზედ წარმოდგენილის პირობებისა, პროექტისა და სმეტისა. განცხადებები, რომლებიც ამა მოთხოვნილებათა თანახმად არ იქნება დაწერილი, ჩაითვლებიან გაუქმებულად.

ვისაც ჰსურს ნახოს პროექტი და სმეტა ამ ნარდად ასაღების საქმისა, შეუძლიანთ მიიქცენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველთან ყოველ დღეს, დილით 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ზედამხედველთან აგრეთვე შეიძლება შეიტყონ უადვილესი საშუალება ადგილზედვე წყლის შოვნისა და შენობისათვის ვარგისისა და გამოსადეგის ნანგრევ ქვების მოგროვებისა. (3—2)


**დედა-ენა და ბუნების კარი**

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შესწორებული და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.



**რვეულები ქართულის წერისათვის,**

გოგებაშვილის დედანთან სახმარებელი, დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი. მესამე ნომერიც მზადდება.

ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა, ხიდეკელისა და იმშიროვის მაღაზიებში და აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში; ქუთაისში—ჭილაძეებთან

ფასი რვეულისა ერთი შაური.

ასპიდის ფიცრები ქართულის წერისათვის ისყიდება იმშიროვისა, გრიქუროვისა და ხიდეკელის მაღაზიებში და „წერა-კითხვის“ კანცელარიაში. (6—5)



**ნამდვილი საუნჯეა**

ყველასთვის განთქმული წიგნი

**თავის მკურნალი**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—40)



**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წუთათელაძისაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. გვიცარიძისა . . . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოყვრენი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |


Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე